MES 1 22 0000761936

05/07/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 21.06.2022**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 20:30 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**
**საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თამარ ზარანდია - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
5. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
16. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | **თამთა მოხევიშვილი** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | **თინათინ ბაჯელიძე** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |
| 3 | **ანა ქოიავა** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

**აკრედიტაციის ექსპერტები**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ბესარიონ ლასარეიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | გიორგი მელაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | ლევან ციცქიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 4 | თამარ გვიანიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | მირანდა ნონიკაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 6 | ზვიად როგავა | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 7 | გიორგი მახარობლიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 8 | დავით ელისაბედაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 9 | მიხეილ ბიჭია | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 10 | თათია უბერი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 11 | ნინო ქიმერიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 12 | ნინო ლიპარტელიანი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | შოთა დოგრაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 14 | ქეთევან ოჩხიკიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 15 | მიხეილ გიორგაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 16 | ნათია ღაჭავა | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 17 | ლაშა ბაკურიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები**

| სახელი, გვარი | უსდ | პოზიცია | საკითხი |
|---|---|---|---|
| ნინო ტალიაშვილი | შპს - ევროპის უნივერსიტეტი | რექტორი | I, IV |
| სოფიო ხუნდაძე | | ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით | I, IV |
| ნინო გაგელიძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი | I, IV |
| რუსა გოგიტიძე | | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | I, IV |
| ნინო მილაშვილი | | ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | I, IV |
| მაია კერესელიძე | | ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელიმ | I, IV |
| მარიამ ბანძელაძე | | განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | I, IV |
| იოსებ კელენჯერიძე | | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი | I, IV |
| ვაჟა ქვაჭრელიშვილი | | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკან | I, IV |
| მარიამ ნოზაძე | | ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | I, IV |
| თენგიზ რუსია | | შესყიდვებისა და მატერიალური სამსახურის უფროსი. | I, IV |
| გოჩა თუთბერიძე | შპს ქუთაისის უნივერსიტეტი | რექტორი | II |
| ნინო ტალიაშვილი | | | I, II, IV |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით | |
| სოფიო ხუნდაძე | | ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით | I, II, IV |
| თათია ხარაბაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I, II, IV |
| თეონა გრიგოლაშვილი | | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი | I, II, IV |
| თათია დოლიძე | | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | I, II, IV |
| ლევან მესხორაძე | | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი | I, II, IV |
| კახა შენგელია | შპს - კავკასიის უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის პრეზიდენტი | III |
| ნუგზარ სხდირტლაძე | | ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში | III |
| ბორის ლეჟავა | | ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში | III |
| დიანა მჭედლიშვილი | | ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი | III |
| შოთა ნიჟარაძე | | ტექნოლოგიების სკოლის დეკანი | III |
| გიორგი ნიკურაძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| შალვა ჭკადუა | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი -ასოცირებული პროფესორი | IV |
| თამარ ნადირაძე | | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი | V |
| მაგდა დავითაშვილი | | ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი | V |
| დარეჯან მარგალიტაშვილი | | ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის | V |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სამსახურის ხელმღვანელი - ასისტენტ პროფესორი | |
| თეა კორძაძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | VI |
| მიხეილ სამსონია | | პროგრამის ხელმძღვანელი | VI |
| ნატო ალავიძე | | მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის<br>უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | VI |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**
· არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**1.პირველი საკითხი :** შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ვეტერინარია<br>Veterinary |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ინტეგრირებულ სამაგისტრო |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ვეტერინარიის მაგისტრი<br>Master of Veterinary Medicine (MVM) |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0841 ვეტერინარია |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი | გურამიშვილის გამზ. No76, თბილისი, 0141, საქართველო სარაჯიშვილის ქ. No17, თბილისი, 0189, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა**
**საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბესარიონ ლასარეიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27-28 აპრილს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას და პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ფაქტობრივი გარემოებები. ვიზიტი პოზიტიურად მიმდინარეობდა. გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიურ პერსონალს აქვს დიდი პედაგოგიური გამოცდილება, დაწესებულების ადმინისტრაციას გააზრებული აქვს პროგრამის თავისებურებები და მნიშვნელობა და მოტივირებულია ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს გაუზიარა რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.
შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ საკმაოდ აქტიურად იმუშავა 2 წლის განმავლობაში პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით. გამომდინარე აქედან დაწესებულების მიერ მოხდა როგორც ყველა რეკომენდაციის, ასევე რჩევის შესრულება. რაც შეეხება რჩევას კონტინგენტთან დაკავშრებით, დაწესებულებას ამჟამად 55 ადგილზე აქვს გამოცხადებული მიღება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამაზე საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნა საკმაოდ დიდია, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები კი განიცდიან სპეციალისტების ნაკლებობას. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში საწარმო პრაქტიკა მოიცავს 20 კრედიტს და მიმდინარეობს ერთი სემესტრის განმავლობაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს არაერთი მემორანდუმი აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში გაწერილია სტუდენტთა გადანაწილება საწარმოო პრაქტიკების ობიექტებზე, სადაც მოცემულია ჩანაწერი, რომ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად უნივერსიტეტის მიერ შერჩეული იქნება თითო სტუდენტზე 10 პარტნიორი პროფილური ორგანიზაცია. თითოეულ ობიექტს მიემაგრება 5 სტუდენტი, რის შედეგადაც პრაქტიკაზე ერთდროულად მოხდება 50-55 სტუდენტის გაგზავნა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, სილაბუსში ჩამოთვლილ ყველა ობიექტზე პრაქტიკა მიმდინარეობს თუ არა ერთდროულად?
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესებულებას პროგრამის გარე შეფასების განხორციელება უცხოური უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ და ხომ არ იგეგმება აღნიშნული შეფასების განხორციელება? ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა დოზით იგეგმება ახალგაზრდა კადრების ჩართულობა ასისტენტობის პროცესში?
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებში საუბარია პათანატომიურ-მიკროსკოპული პრეპარატების შესახებ და დააზუსტა აღნიშნული საკითხი ხომ არ ატარებს რეკომენდაციის ხასიათს?

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას დამატებით ჰქონდა წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა როტაციის შესახებ ინფორმაცია. პრაქტიკული უნარების განვითარებას სასწავლო კურსებთან ერთად უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტი 24 კრედიტის მოცულობით, რომელთაგან 4 კრედიტი ეთმობა „კლინიკურ პრაქტიკას“, რომელსაც სტუდენტი გაივლის მე-8 სემესტრის ბოლოს, ხოლო „საწარმოო პრაქტიკას“ ეთმობა 20 კრედიტი და სტუდენტი გაივლის მე-10 სემესტრში. პრაქტიკები ჩატარდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ვეტერინარულ კლინიკებში, დიაგნოსტიკურ და კვლევით ლაბორატორიებში, ფერმებში, ზოოპარკში, სასაკლაოებში და სხვა ობიექტებზე, რომლებთანაც ევროპის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნული დაწესებულებები სტუდენტებს მისცემენ პრაქტიკული შემთხვევების განხილვის, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში და პრაქტიკულ მეცადინეობებზე შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერების შესაძლებლობას. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით. მოცემულ მომენტში მემორანდუმი გაფორმებულია პრაქტიკის 28 ობიექტთან. მემორანდუმებით განისაზღვრება სემესტრის/აკადემიური წლის განმავლობაში პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და მხარეთა ვალდებულებები. პრაქტიკის 33 ობიექტზე გათვალისწინებულია მენტორის ხელმძღვანელობა. სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებს ზედამხედველობას, ასევე, უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი უნივერსიტეტიდან. სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გამომუშავებული სწავლის შედეგები ფასდება მენტორის, პრაქტიკის ხელმძღვანელისა და პრაქტიკის დაცვის კომისიის მიერ. ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას, ასევე უზრუნველყოფს პრაქტიკით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევასა და სათანდოდ შეფასებას.

რაც შეეხება გარე შეფასებას, დაწესებულება გეგმავს აღნიშნულის განხორციელებას. ამასთან დაწესებულებას შეტანილი აქვს საგრანტო პროექტი, რაც ითვალისწინებს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას, მათი მხრიდან ტრენინგების ჩატარებას.
ამასთან ასისტენტობის ნაწილში ახალგაზრდა კადრების ჩართვის შესახებ რჩევა დაწესებულებისთვის სრულიად მისაღებია და უკვე გათვალისწინებულია. პროგრამის ფარგლებში მოწვეულია 6 ახალგაზრდა დოქტორი და დოქტორანტი, აქედან სამს უკავია ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა, ხოლო სამი ახალგაზრდა მოწვეული პედაგოგია. უნივერსიტეტის მიზანია ახალგაზრდა კადრების მოძიება, რისთვისაც ინსტიტუცია აქტიურად მუშაობს.
რაც შეეხება რჩევას პათანატომიური პრეპარატების შესახებ, აღნიშნული საკითხი უკვე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ და, შესაბამისად, განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები პროგრამაში.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა თუ როგორ ხორციელდება პროგრამის ფარგლებში კვლევა?
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს (სამეცნიერო ნაშრომს). სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს. სამეცნიერო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით) დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით. ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურად, ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით. ნაშრომის ხელმძღვანელად განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული 48 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სწავლების სფეროს ღრმა თეორიული ცოდნა ან/და ამ სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.
ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს პლაგიატთან ბრძოლის შესაბამისი ინსტრუმენტები, მათ შორის ელექტრონული პროგრამა „Turnitin“, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის აღმოჩენას და უზრუნველყოფს სტუდენტებში აკადემიური კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:30**
**დასრულების დრო: 15:00**

**საბჭოსთავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

**საბოლოოდ რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:**
**რჩევები:**

- მიზანშეწონილია გასწორდეს და დაკორექტირდეს პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა.
- გასწორდეს კურიკულუმის რუკაში არსებული მექანიკური შეცდომები.
- სავეტერინარო იმუნოლოგიის კურსის კორექცია განხორციელდეს: მიეცეს სავეტერინარო სპეციფიკა ან გადაერქვას სახელი ზოგად იმუნოლოგიად; ძირითად ლიტერატურაში მოცემული პირველი წყარო გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურაში.
- პირველი ორი წლის განმავლობაში არ გამოცხადდეს 55 ადგილზე მიღება, სანამ დაწესებულება არ შეიძენს ამ პროგრამის განხორციელების გარკვეულ გამოცდილებას და არ დარწმუნდდება საკუთარ შესაძლებლობებსა და რესურსების საკმარისობაში.
- მიზანშეწონილია შეძენილ იქნას სტანდარტული პათ.ანატომიური მიკროსკოპული პრეპარატები.
- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პედაგოგებისმიერ ახალგაზრდა სამეცნირო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობებისუფროინტენსიურად გამოყენება ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით.
- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გეგმავს ყოველწლიურად 55 სტუდენტის მიღებას, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უმჯობესი იქნება, თუ მოხდება არსებული მცირე მოცულობის თერმოსტატების და მაცივრების ჩანაცვლება შედარებით დიდი მოცულების მაცივრებით და თერმოსტატებით.
- მიზანშეწონილია არსებული ავტოკლავი (რომელიც მოთავსებულია მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში) მოთავსდეს პირველ სართულზე არსებულ სივრცეში, სადაც არ იგეგმება სასწავლო პროცესის წარმართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხმაური და გარემოს ჭარბი დატენიანება.
- მიზანშეწონილია, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მიდგომა და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვროს არამხოლოდ თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებიც.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში არსებული ტერმინი „სპეციალობა“ შეიცვალოს ჩანაწერით „ძირითადი სწავლის სფერო“.
- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

- მიზანშეწონილია, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულ იქნეს პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების, მათ შორის დადგენილი ვადით და რაოდენობით სტუდენტთა მიღების მზაობის შესწავლა.

**15:02 საათზე სხდომას შემოუერთდა მაკა კაჭარავა**

**2.მეორე საკითხი :** შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართალი<br>Law |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | სამართლის ბაკალავრი<br>Bachelor of Laws |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0421 სამართალი |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | წერეთლის ქ.No13, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა**
**საფუძველი -შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ზვიად როგავამ აღნიშნა, რომ უსდ-ში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 6 აპრილს. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 9:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე დისტანციური ფორმატით, ელექტრონული კომუნიკაციის (პროგრამა ZOOM-ის) საშუალებით. აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია გამოხატავდა აშკარა მზაობას თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა, როგორც გასაუბრებების სესიებზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფაში, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში. გასაუბრებების პირველი სესია შედგა დაწესებულების ადმინიატრაციასთან. ადმინისტაციის წარმომადგენლებმა ახსნეს უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, აგრეთვე პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. გასაუბრებების მეორე სესია შედგა თვითშეფასების ჯგუფთან. ჯგუფის წევრებისგან მიღებული იქნა ინფორმაცია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესისა და მასში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესახებ.
გასაუბრებების მესამე სესია შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც დეტალურად აღწერეს პროგრამის შინაარსი და თავისებურებები. პროგრამის ხელმძღვანელებმა უპასუხეს აკრედიტაციის ჯგუფის წევრების დასმულ შეკითხვებს პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 4 გასაუბრებების შემდგომი სესიები შედგა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. გასაუბრებების მომდევნო სესია დაეთმო ონლაინ რეჟიმში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერებასა და ბიბილიოთეკის წარმომადგენელთან კომუნიკაციას. შემდგომ შედგა შეხვედრები მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებთან, მომიჯნავე ფაკულტეტის კურსადმთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების როგორც მეთოდოლოგია, ისე კონკრეტულად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დოკუმენტი) გადაიხედოს და დაიხვეწოს, რათა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა დასკვნითი შეფასების ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების 5 შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს არა მხოლოდ საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, არამედ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ყველა სხვა წინაპირობა თუნდაც მითითებითი ნორმების სახით.
3. რეკომენდებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოდიფიცირებული იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებად და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ კონცენტრაციებს უნდა გააჩნდეთ სწავლის შედეგი, რაც გათვალისწინებულია უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებშიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნათა შესაბამისად;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“, „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, „საპოლიციო სამართალი“, „დაზღვევის სამართალი“, „საბანკო სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „საპროკურორო სამართალი“, „საგამოძიებო სამართალი“ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

5. რეკომენდებულია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსები „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“, „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“ ამოღებული 6 იქნეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოხდეს მათი მოდიფიკაცია სასწავლო კურსებად: „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალი“.
6. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „სამეწარმეო სამართალი“, „შრომის სამართალი“, „აკადემიური წერა“, „კრიმინალისტიკა“ სავალდებულო სასწავლო რესურსების მოცულობა სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის მოცულობის გათვალისწინებით ან სავალდებულო სასწავლო რესურსებს კონკრეტულად მიეთითოს მხოლოდ ის გვერდები, რაც რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლისათვის ან სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი გადატანილ იქნეს დამხმარე ლიტერატურაში.
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს შინაარსი და გარდა შესრულების კონდიქციისა, მის შინაარსში აისახოს სხვა კონდიქციებიც, ასევე, სოლიდარული პასუხისმგებლობა და დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა;
8. რეკომენდებულია,სავალდებულო სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“-ს შინაარსიდან ნარკოტიკული დანაშაული და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გადატანილი იქნეს სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ შინაარსში, რაც მეთოდურადაც უფრო გამართლებულია.
9. რეკომენდებულია, სისტემატურად განახლდეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები უახლესი იურიდიული ლიტერატურით, განსაკუთრებით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსების ნაწილში
10. რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამის ბიუჯეტში იმ თანხების აკუმულირება, რომელიც საჭიროა თვითშეფასების ანგარიშით/ინტერვიუს შედეგად დადასტურებული აღებული ვალდებულებების შესასრულებლად;
11. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი იყოს გამჭირვალე და ზედმიწევნით იყოს გაწერილი ყველა შემოსავალი და ხარჯი.
12. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული კონცენტრაციების გათვალისწინებით;
13. ეკომენდებულია, ცალკე შეფასდეს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა, მათი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ფუნქციების გათვალისწინებით, ხოლო ცალკე - აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობა როგორც მეტი ობიექტურობის, ისე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის.
14. რეკომენდებულია, მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება როგორც სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლების, ურთიერთგადაფარვების აღმოფხვრის, სხვა სასწავლო კომპონენტების შეფასების, ისე ანალოგი პროგრამების დადარებისას შინაარსობრივი მხარის გათვალისწინების მიმართულებით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა არსებობს თუ არა დაწესებულებაში მიმდინარე შეფასებების გასაჩივრების მექანიზმი? ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა პროგრამა კოდექსი და დააზუსტა თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავს აღნიშნულ პროგრამას და აქვს თუ არა დაწესებულებას შესაბამისი რესურსი? საბჭოს წევრმა, ასევე, აღნიშნა ,,ადმინისტრაციული

სამართლის პრაქტიკული კურსი“, რომელიც თავისი შინაარსით საპროცესო ნორმებს მოიცავს, თუმცა სათაური აქვს ადმინისტრაციული სამართალი და არა ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი.
რაც შეეხება მემორანდუმებს, მიუხედავად იმისა, რომ საბაკალავრო პროგრამა არ ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებში აღნიშნულის მითითებას, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა პრინციპით ახდენს დაწესებულება სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ამასთან საბჭოს წევრი დაინტერესდა ბაზების გამოყენებისა და ნაშრომების იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნების საკითხით?
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია დარგობრივ ინგლისურზე დადააზუსტა იგეგმება თუ არა პროფესიული ინგლისურის დამატება და რა ნაბიჯებს დგამს დაწესებულება ამ მიმართულებით?
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დააზუსტა თუ რამდენად არის მოწვეული და აკადემიური პერსონალი ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში და ასევე როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის მდგრადობა?
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რატომ არ აქვს კონცენტრაციებს ცალკე გაწერილი სწავლის შედეგები?

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის პრაქტიკულ კურსთან დაკავშრებით, ექსპერტებს ასევე ჰქონდათ გაცემული რჩევა რაც გულისხმობდა კურსის მოდიფიკაციას და თემატურად დახვეწას არამარტო ადმინისტრაციული სამართლის, არამედ საკონსტიტუციო-სამართალწარმოების მხრივაც.
რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს, უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №362 ბრძანებით დამტკიცებული „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“-ს შესაბამისად. სტუდენტს უფლება აქვს საგამოცდო შედეგის გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ნაშრომის გაცნობისა და განხილვის შემდეგ ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი არაობიექტურად არის შეფასებული, იგი უფლებამოსილია წერილობითი განცხადების საფუძველზე იმავე დღეს გაასაჩივროს მიღებული შეფასება.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ იურიდიული პრაქტიკა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია (10 ECTS). იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი დეტალურად აღწერს იურიდიული პრაქტიკის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, პრაქტიკის ორგანიზების საკითხებს, ასევე პრაქტიკის კომპონენტის შინაარსს. პრაქტიკას ხელმძღვანელობს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი ეხმარება ბაკალავრებს პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, აკონტროლებს პრაქტიკის კეთილსინდისიერად ჩატარებას. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს მენტორს, რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა უშუალო ზედამხედველობას. პრაქტიკის დროს სტუდენტმა უნდა დაიცვას მიმღები დაწესებულების შიდაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები, შეასრულოს კონკრეტულო სამუშაო და აწარმოოს პრაქტიკის დღიური პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის მითითების შესაბამისად; შეადგენოს პრაქტიკის ანგარიში, რომლის დაცვა ხდება პრაქტიკის დასრულების შემდეგ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების და მათ შორის ,,სამართლის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას აფასებს არამხოლოდ დასკვნის პროექტში განხილული ერთი მეთოდით, არამედ რამდენიმე მეთოდით და კომპლექსურად იღებს ობიექტურ შედეგებს.

სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების განხილვისას აუცილებელია უპირველესად ყურადღება გამახვილდეს შეფასების **პირდაპირ I მეთოდზე,** რომელიც გულისხმობს:სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აღნიშნული ეყრდნობა სტუდენტთა შეფასების საბოლოო შედეგებს, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის მიღწევების შეფასებები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული კურსის ფარგლებში, შესაბამისი შინაარსისა და საჭიროების მიხედვით და შესაძლებელია მოიცავდეს: დახურულ (MCQs) და ღია ტიპის შეკითხვებს, პრაქტიკული და თეორიული ტიპის შეკითხვებს, ლაბორატორიულ დავალებებს, პრეზენტაციებსა და პროექტებს, ობიექტურად სტრუქტურირებულ გამოცდებს (OSCE) და ა.შ. სასწავლო კურსების ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, თუ რამდენად გამოიყენება შეფასების ისეთი სათანადო მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, აღნიშნული შეფასების მეთოდების გამოყენებით და მათზე დაყრდნობით აკადემიური მოსწრების ანალიზი, ხოლო ანალიზის საფუძველზე კონკრეტული რეაგირებები უზრუნველყოფენ სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას და მიღწევის შეფასებას. ექსპერტები დასკვნის პროექტში ასევე ყურადღებას ამახვილებენ სასწავლო კურსების სამიზნე ნიშნულებზე.

რაც შეეხება სწავლის შედეგების **პირდაპირი მეთოდის II ფორმას,** რომელიც განხილულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში, სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევის ობიექტურად და გამჭვირვალედ შეფასებას, მეთოდი მოიცავს: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით, თითოეული ინდიკატორისთვის განისაზღვრება ინდიკატორების პროგრამის კომპონენტებთან შესაბამისობის რუკა, რომლითაც პროგრამის ხელმძღვანელებსა და შესაბამის კომიტეტს, ეძლევა შესაძლებლობა თითოეული ინდიკატორისთვის განსაზღვროს შეფასების ფორმა (ინდიკატორის მიღწევაზე პასუხისმგებელი სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით) რომელიც მეთოდოლოგიის მიხედვით შესაძლებელია იყოს, როგორც შუალედური ასევე, დასკვნითი შეფასება.

სწავლის შედეგების შეფასების არსებული მეთოდოლოგია/მექანიზმი, რომელიც არა ერთხელ დაფიქსირებულა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, როგორც ადგილობრივი ასევე, საერთაშორისო ექსპერტების მიერ, ინსტიტუციაში მოქმედ საუკეთესო პრაქტიკად, სრულად აძლევს შესაძლებლობას ინსტიტუციას ობიექტურად, გამჭირვალედ და ქრონოლოგიურად, პროცესზე პასუხისმგებელი პირების მითითებით შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს მიზეზთა კვლევა და შესაბამისი რეაგირებები. ინსტიტუციისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს ის მიგნებები, რომლებიც გაზიარდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტით და კვლავ განიხილოს საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №4, რომელიც შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი II-ის შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, დანართში დეტალურად არის მოცემული კონკრეტული სწავლის

შედეგის მიღწევის ინდიკატორები, მათი შეფასების ფორმები, თუმცაღა პროცესის მეტი სიცხადისთვის დანართში საჭიროებისამებრ შესაძლოა აისახოს, დასკვნით გამოცდასთან ერთად შუალედური შეფასებაც, როგორც შედეგის მიღწევის შეფასების რუბრიკა და შესაბამისი შემოწმების პერიოდულობაც იმ შედეგთათვის, რომლის მიღწევაც სასურველია უფრო კონკრეტულად გამოჩნდეს დანართში.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ,,სამართლის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არსებული სასწავლო გეგმა მოიცავს, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით, მიმართულებების/კონცენტრაციის შესაბამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებსა და ასევე, ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სტუდენტის მიერ არჩეული კონცენტრაცია, რომელსაც იგი ირჩევს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, დაეხმარება მას მიმართულების გაღრმავებით შესწავლაში. სასწავლო კომპონენტების ასეთი მოდიფიცირება სტუდენტს სრულად აძლევს შესაძლებლობას საკუთარი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად აირჩიოს სასწავლო კურსები და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში.

თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, რომელიც გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროსა ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ამ ეტაპზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, შინაარსობრივად სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შედეგების მიღწევას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ამასთან, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგები შინაარსობრივად სრულად მოიცავს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგებს, მათი ცალკე გაწერა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად, რაც არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ბრძანების სულისკვეთებას.

მნიშვნელოვანია, რომ კონცენტრაცია სტუდენტს აძლევს კონკრეტულ მიმართულებას და ამის მიხედვით უჯგუფებს საგნებს. ამ სასწავლო კურსების სტატუსი არის არჩევითი. მართალია კონცენტრაციას აქვს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსები, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა სასწავლო კურსს, რომელიც კონცენტრაციაშია მოცემული აქვს არჩევითი სტატუსი, შესაბამისად, ამ სწავლის შედეგებზე ვერ გავა ყველა სტუდენტი, გავა მხოლოდ სტუდენტთა ნაწილი, ხოლო სხვა შედეგზე სტუდენტთა მეორე ნაწილი.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული უნარები საკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტმა გაიგოს სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსი, ლიტერატურა. ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამის შემუშავებისას ჩაითვალა, რომ უმჯობესი იქნება, რაც შეიძლება მეტ სტუდენტს მიეცეს ამ ტიპის კურსების არჩევის საშუალება, მით უფრო, რომ ინგლისური ენის ზემოხსენებულ დონეზე ცოდნა სავსებით საკმარისია კურსის დაძლევისთვის. ყოველივე ზემოაღწერილისა და დასკვნის პროექტში თავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული პოზიციითაც, ვიმედოვნებთ, რომ ,,სამართლის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, დაშვების შესაბამისი

წინაპირობებით მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. ამდენად ვთვლით, რომ რეკომენდაციაში დაფიქსირებული საკითხი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობებთან მიმართებით შესაძლებელია რჩევის ხასიათის იყოს.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, სასწავლო კურსთა, სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებით გვსურს ყურადღება გავამახვილოთ სასწავლო კურსების სილაბუსების დანართ №1-ზე „სასწავლო კურსის შინაარსი'', სადაც თითოეული სასწავლო კურსის თემატიკასთან ერთად განსაზღვრულია სასწავლო მასალის სახელწოდება/თავი/მუხლი და შესასწავლი ლიტერატურის გვერდები. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სავალდებულო ლიტერატურით განსაზღვრულ მასალაში, შეისწავლება მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსით (სასწავლო კურსის დანართი №1) და არა სრულად, ხოლო დანართში მოცემული ზემოთ დასახელებული მახასიათებლები, სტუდენტს ეხმარება ზუსტად განსაზღვროს სასწავლო მასალა ლიტერატურიდან.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტთა ლიტერატურის განახლების საკითხი განვითარების უწყვეტი პროცესია და დაწესებულება მუდმივად მუშაობს აღნიშნულთან მიმართებით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულად, უნივერსიტეტის ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებში. ექსპერტთა მიერ დასკვნის აღწერით ნაწილში ყურადღება მახვილდება ფაქტზე - ვიზიტისას, ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი ლიტერატურიდან ვერ მოიძებნა მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო. იდენტიფიცირებული პრობლემა აღმოფხვრილია და სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ქუთაისის უნივერსიტეტში მატერიალური სახით. იხილეთ სახელმძღვანელო ელექტრონულ კატალოგში.
მნიშვნელოვანია, ასევე მე-10 რეკომენდაცია, კერძოდ, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შეფასების მეთოდოლოგია'' უზრუნველყოფს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ'' მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. შესაბამისად, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კონცენტრაციების ძირითადი შინაარსის სწავლის შედეგები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სწავლის შედეგებში, რომელიც თავსებადია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით რეკომენდირებული სწავლის შედეგების შინაარსთან, სწავლების საფეხურის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდი, რომლის პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირები და შემოწმების ფორმები დეტალურად არის აღწერილი შესაბამის მეთოდოლოგიაში უზრუნველყოფს შემოწმდეს, თითოეული კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ავტომატურად აძლევს ინსტიტუციას შესაძლებლობას შეამოწმოს რამდენად იყო მიღწეული ის სწავლის შედეგები, რომლიც თითოეული მიმართულების/კონცენტრაციის მიხედვით არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სწავლის შედეგებში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ არსებული, მოქმედი მექანიზმები დაეხმარება ინსტიტუციას უზრუნველყოს კონკრეტული კონცენტრაციისა და ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომლითაც ფასდება პერსონალის აკადემიური საქმიანობა, ასევე მოქმედებს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემა მექანიზმის მიზანია, დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების გაუმჯობესება, მისი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა, პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა და უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, ისაუბრა პუბლიკაციებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პუბლიკაციების გამოცემა სხვადასხვა ჟურნალებში არის უფასო და ამისთვის არანაირი გადასახადი საჭირო არ არის, პირიქით, როდესაც სახეზეა შეფასებები და პროფესორი აქვეყნებს ნაშრომს მას ეძლევა პრემია. რაც შეეხება სამეცნიერო ბაზებს, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ყველა შესაძლო ბაზა და როგორც აკადემიური პერსონალს, ასევე სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფლად სარგებლობა.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა წინაპირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტით წარმოდგენილი მსჯელობების შესაბამისად სასწავლო კურსთა დაშვების წინაპირობების დაზუსტებასთან დაკავშირებით, სურს ყურადღება გაამახვილოს თითოეულ მათგანზე:
დაწესებულება სრულიად იზიარებს შემოთავაზებულ რეკომენდაციას სასწავლო კურსთან ,,საერთაშორისო საჯარო სამართალი'' დაკავშირებით.
სასწავლო კურსი **,,**სამოქალაქო საპროცესო სამართალი II'' სამოქალაქო საპროცესო სამართალი II ისეთ საოჯახო სამართლებრივ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა:

- საქორწინო-საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი;
- არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი;
- სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

შესაბამისად, პროგრამის შემუშავებისას მიიჩნიეს, რომ აღნიშნული საკითხების დაძლევა რთული იქნება, თუ სტუდენტს არ ეცოდინება ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტები როგორიცაა ქორწინება, განქორწინება, მშობელთა უფლებრივი მდგომარეობა შვილების მიმართ და ა.შ. შესაბამისად, განისაზღვრა არსებული წინაპირობები.

სასწავლო კურსი ,,შესავალი სამართლის ფილოსოფიაში''- არსებული გამოცდილებით აღნიშნული კურსი ერთ-ერთი რთულად ასათვისებელი/დასაძლევი სასწავლო კურსია სტუდენტებისათვის. კურსი მკვეთრად თეორიულია და ფილოსოფიურ სამართლებრივ ჭრილში განიხილავს ისეთ კატეგორიებს როგორიცაა: სამართლის ცნება, სახელმწიფო ხელისუფლება და სამართალი, სამართლიანობა, ბუნებითი სამართალი და ა.შ. აღნიშნული ცნებების აღქმა კი ძალიან რთული იქნება სამართლისმცოდნეობის შესავალი კურსის გავლის გარეშე, რადგან სწორედ აღნიშნული კურსით სტუდენტი სწავლობს პირველად სამართლებრივ ცნებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსი ,,შესავალი სამართლისმცოდნეობაში'', და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული წინაპირობა დაეხმარება სტუდენტებს სრულად დაძლიონ სასწავლო კურსის შინაარსი.
სასწავლო კურსი,,საპოლიციო სამართალი**”** - დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში რეკომენდაციის წინაპირობად იკვეთება შემდეგი გარემოება ,,არჩევით სასწავლო კურსს „საპოლიციო სამართალს“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)“ და „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს მხოლოდ სასწავლო

კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)'', აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი ,,საპოლიციო სამართალი'', პროგრამის ფარგლებში წარმოადგენს როგორც სისხლის კონცენტრაციის ისე საჯარო სამართლის კონცენტრაციის არჩევით სასწავლო კურსს. სისხლის საპროცესო სამართლის წინაპირობად ასახვა აღნიშნულ კურსში განპირობებულია იმით, რომ საპოლიციო საქმიანობის რეგულაციების ათვისება სტუდენტისთვის არ იქნება მარტივი თუ მას არ ეცოდინება სისხლის საპროცესო სამართლის ისეთი ცნებები, როგორიცაა გამოძიების არსი, მისი მიმდინარეობა და საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სხვა არსებითი საკითხები, სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა სასწავლო კურსის წინაპირობები.
სასწავლო კურსი,,დაზღვევის სამართალი" - აღნიშნული კურსი არ არის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. კურსის ფარგლებში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიც არის სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილენი. თავის მხრივ, სადაზღვეო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის სამეწარმეო იურიდიული პირი, შესაბამისად ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტმა იცოდეს სამეწარმეო იურიდიული პირების სახეები და მათი საქმიანობის სპეციფიკა. ანალოგიურად, კურსის ფარგლებში ასევე განხილულია მზღვეველის გადახდისუუნარობის საკითხები, რაც, თავის მხრივ, ძალზე სპეციფიკურია და, შესაბამისად, გადახდისუუნარობის სამართლით გათვალისწინებული ელემენტარული ცნებების ცოდნას საჭიროებს, რაც გახდა სასწავლო კურსის წინაპირობების შემუშავების განმსაზღვრელი.

სასწავლო კურსი,,საბანკო სამართალი'' - ბანკები წარმოადგენენ სამეწარმეო სუბიექტებს სწორედ ამიტომ მათი ფუნქციონირების დეტალურად აღსაქმელად მნიშვნელოვანია სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს სააქციო საზოგადოების მოწყობისა და საქმიანობის სპეციფიკა. კურსი, ასევე, მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიც არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, რაც დაკავშირებულია აღსრულების თავისებურებებთან და სამოქალაქო სამართალწარმოებასთან, რის გამოც პროგრამის შემუშავებისას საბანკო სამართლის კურსს განესაზღვრა წინაპირობად ასევე სასწავლო კურსი ,,სამოქალაქო საპროცესო სამართალი I''.

სასწავლო კურსი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება'' - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კურსის ფარგლებში ცხადია აქცენტირებულია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენასთან და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ასევე არეგულირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თავისებურებებსაც. აღნიშნული წინაპირობა შეტანილი იყო იმ მოსაზრებით, რომ კურსის ეხებოდა პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულსა და სამართალდარღვევას, რაც, თავის მხრივ , კავშირშია აღნიშნულ სამართალდარღვევათა კოდექსით დარეგულირებულ რეფერირების პროცესსა და პროცედურასთან, თუმცა შესაძლებელია მოცემული საკითხი განხილული იქნეს უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სასწავლო კურსის ფარგლებშიც, შესაბამისად მივიჩნევთ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ხასიათის არის.

სასწავლო კურსი ,,საპროკურორო სამართალი, საგამოძიებო სამართალი'' - დასკვნის პროექტის აღწერითი ნაწილის თანახმად ,,არჩევით სასწავლო კურსებს „საპროკურორო სამართალი" და „საგამოძიებო სამართალი" დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვთ სასწავლო კურსები „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)" და „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი". აღნიშნულ სასწავლო კურსებს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროთ მხოლოდ სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)" - საპროკურორო სამართლის სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსი ,,ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი''

განსაზღვრული აქვს იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით პროკურორს აქვს საერთო ზედამხედველობა, როგორც სისხლის სამართლის მიმართულებით, ასევე ადმინისტრაციული მიმართულებით, კერძოდ, პროკურორი განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივრებს, ასევე წერს პროტესტს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე თუ მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული სასწავლო კურსის მე-6 თემა ეთმობა ისეთ საკითხებს როგორიცაა: ,,**თემა 6. საპროკურორო აქტები და სასარჩელო წარმოება.** მოთხოვნა; წარდგინება; პროტესტი; დადგენილება; საჩივარი; საპროკურორო აქტების გასაჩივრება; რეკეტული ქონება, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა''.

რაც შეეხება საგამოძიებო სამართალს, გამომძიებელმა საგულისხმოა, რომ იცოდეს ადმინისტრაციული პროცესი, ვინაიდან საქმის გამოძიების მსვლელობის დროს უამრავ ადმინისტრაციულ ორგანოსთან უწევს ურთიერთობა და, ასევე, განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივრებს, ასევე გამოძიების მიმდინარეობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოჩენისას უნდა მოახდინოს რეაგირება და მასალები გადაგზავნოს სასამართლოში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში რეაგირებისათვის. ყოველივე ზემოგანხილული არის ის გარემოება, რამაც განაპირობა დამატებით დაშვების წინაპირობად „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის“ დადგენა.

დასკვნის პროექტის თანახმად არჩევით სასწავლო კურსებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „საერთაშორისო თანამშრომლობა სიხლის სამართალში“, „შედარებითი სისხლის სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა, დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „ინგლისური ენა 4 (B2.2)“-ის ნაცვლად უნდა განესაზღვროთ სავალდებულო სასწავლო კურსი „ინგლისური ენა იურისტებისთვის“. აღსანიშნავია, რომ CEFR სტანდარტის თანახმად, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა გულისხმობს შემდეგს: სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი სფეროს (მათ შორის ტექნიკური) რთული ტექსტის შინაარსის გაგება; სტუდენტს თავისუფლად შეუძლია კომუნიკაცია იმ ადამიანებთან რომლებისათვის ინგლისური ენა არის მშობლიური; სტუდენტს შეუძლია საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, ტექსტის აგება ნებისმიერ თემაზე.

რაც შეეხება პროფესიული ინგლისურის სწავლების საკითხს, პროგრამის ფარგლებში აღნიშნული წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ბიუჯეტის არსებობა საკმარისია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის მდგრადობა. დასკვნის პროექტში საუბარია, იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულებას არ აქვს თანხა გათვალისწინებული საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტის 6.1. მუხლი განკუთვნილია აკადემიური პერსონალისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, რისთვისაც გამოყოფილია 4000 ლარი. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში დეტალურად არის გაწერილი ყველა სხვა ხარჯი. ფაკულტეტის ბიუჯეტის 11.14 მუხლის შესაბამისად სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯისთვის გამოყოფილია 10 000 ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის შემთხვევაში 80 000 ლარი. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი წარმოადგენს სწორედ იმ რეზერვს, რომლის გამოყენებაც ხდება წინასწარ დაუგეგმავი პროცესებისთვის, რაც ასევე შესაძლებელია ემსახურებოდეს დაგეგმილზე ნაკლები სტუდენტის მიღებისას წარმოშობილი ხარჯების სუბსიდირებას. რაც შეეხება პერსონალის ტრანსპორტირების ხარჯს, ეს უკანასკნელი გაწერილია ცენტრალური ბიუჯეტის წარმომადგენლობით ხარჯში და შეადგენს 8000 ლარს. ამასთან, რეკომენდაციის გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული თანხიდან 4000 ლარი გამოიყოს სამართლის პროგრამისთვის, რაც სავსებით საკმარისია 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში თბილისიდან მოწვეული პერსონალის ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯებისთვის.

ამასთან პროგრამის როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი სრულად და შეუფერხებლად არის ჩართული პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის წინაპირობები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამართულად უნდა იყოს განსაზღვრული, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში წლებია აპრობირებულია, აღნიშნული კი მოცემულ პროგრამაში ნაკლებად არის დაცული. ამასთან, სადაზღვევო სამართლის სილაბუსში სამოქალაქო კოდექსი მითითებულია დამხმარე ლიტერატურად, რაც წარმოადგენს ხარვეზს, ვინაიდან კოდექსი ვერ იქნება მიჩნეული ლიტერატურულ ნაშრომად, ხოლო ამასთან კოდექსიდან დაახლოებით 60 მუხლი შეესაბამება აღნიშნულ კურსს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს არა დამხმარე, არამედ ძირითად წყაროს.
რაც შეეხება კონცენტრაციების საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია 11 სწავლის შედეგი, ისინი არ არის გამიჯნული და ცალკე გამოყოფილი კონცენტრაციებისთვის. აუცილებელია, ცალ-ცალკე იმ კონცენტრაციების ასახვა, რომლებიც არჩევითი სასწავლო კურსების სახით მიიღწევა პროგრამაში, ანუ პროგრამის სწავლის შედეგების დაკონკრეტება კონცენტრაციების მიხედვით.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამით გაწერილი წახალისების სისტემის შესრულებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა პროგრამის ბიუჯეტით არ არის გაწერილი, ხოლო უნივერსიტეტის ან/და ფაკულტეტის ბიუჯეტით არის თუ არა გათვალისწინებული გაურკვეველია. მოწვეული/აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილის საცხოვრებელი ადგილი არ არის ქუთაისი. პირადი ინფორმაციის შესწავლით დგინდება, რომ მათი დღის წესრიგი ძალიან დატვირთულია. სასურველია უსდ-მ შეიმუშავოს სპეციალური დატვირთვის სქემა ამ პერსონალისთვის, რათა პროგრამის მდგრადობა გარანტირებული იყოს.
ამასთან, აღსანიშნავია თუ რამდენად შეძლებს პროგრამა არაპანდემიურ რეჟიმში ონლაინ ლექციების ჩატარებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ პირველ და მეორე კურსზე სავალდებულო სასწავლო კურსებს კითხულობენ ლექტორები თბილისიდან.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რაც შეეხება პერსონალის ტრანსპორტირების ხარჯს, ეს უკანასკნელი გაწერილია ცენტრალური ბიუჯეტის წარმომადგენლობით ხარჯში და შეადგენს 8000 ლარს. ამასთან, რეკომენდაციის გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული თანხიდან 4000 ლარი გამოიყოს სამართლის პროგრამისთვის, რაც სავსებით საკმარისია 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში თბილისიდან მოწვეული პერსონალის ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯებისთვის.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:30**
**დასრულების დრო: 17:12**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^2$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-$3^2$ ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხ ლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანამათლებლო პროგარამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

**საბოლოოდ რეკომენდაციები და რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:**
**რეკომენდაციები:**

**1.2**

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების როგორც მეთოდოლოგია, ისე კონკრეტულად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დოკუმენტი) გადაიხედოს და დაიხვეწოს, რათა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა დასკვნითი შეფასების ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით.
- პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდებით შეფასებისას (კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა) გათვალისწინებულ იქნას პროგრამის სრული ციკლის დასრულება და მინიმუმ 1 წლის შემდეგ მათი ანალიზი.

**2.1** რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს არა მხოლოდ საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, არამედ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ყველა სხვა წინაპირობა თუნდაც მითითებითი ნორმების სახით.

**2.2**

- რეკომენდებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოდიფიცირებული

იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებად და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ კონცენტრაციებს უნდა გააჩნდეთ სწავლის შედეგი, რაც გათვალისწინებულია უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებშიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნათა შესაბამისად;

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო საჯარო სამართალი", „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II", „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში", „საპოლიციო სამართალი", „დაზღვევის სამართალი", „საბანკო სამართალი", „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება", „საპროკურორო სამართალი", „საგამოძიებო სამართალი" „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი", „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი", „საერთაშორისო სისხლის სამართალი", „შედარებითი სისხლის სამართალი", „ევროკავშირის სამართალი" და სხვა, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

**2.3**

- რეკომენდებულია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსები „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი", „შედარებითი კერძო სამართალი", „შედარებითი სისხლის სამართალი" ამოღებული იქნეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოხდეს მათი მოდიფიკაცია სასწავლო კურსებად: „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი", „საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი" და „საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალი";
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი", „სამეწარმეო სამართალი", „შრომის სამართალი", „აკადემიური წერა", „კრიმინალისტიკა" სავალდებულო სასწავლო რესურსების მოცულობა სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის მოცულობის გათვალისწინებით ან სავალდებულო სასწავლო რესურსებს კონკრეტულად მიეთითოს მხოლოდ ის გვერდები, რაც რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლისათვის ან სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი გადატანილ იქნეს დამხმარე ლიტერატურაში.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები"-ს შინაარსი და გარდა შესრულების კონდიქციისა, მის შინაარსში აისახოს სხვა კონდიქციებიც, ასევე, სოლიდარული პასუხისმგებლობა და დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა;
- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)"-ს შინაარსიდან ნარკოტიკული დანაშაული და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გადატანილი იქნეს სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)" შინაარსში, რაც მეთოდურადაც უფრო გამართლებულია.

**4.1** რეკომენდირებულია იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ქუთაისი, უსდ-მ, სხვა უსდ-ებში მათი დატვირთვის

გათვალისწინებით, შეიმუშავოს ინდივიდუალური დატვირთვის სპეციალური სქემა, უზრუნველყოს შრომის ხელშეკრულებასა და პროგრამის ბიუჯეტში ზემოაღნიშნულის გათვალისწინება.

**4.3**

- რეკომენდებულია, სისტემატურად განახლდეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები უახლესი იურიდიული ლიტერატურით, განსაკუთრებით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსების ნაწილში.
- რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

**4.4**

- რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამის ბიუჯეტში იმ თანხების აკუმულირება, რომელიც საჭიროა თვითშეფასების ანგარიშით/ინტერვიუს შედეგად დადასტურებული აღებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი იყოს გამჭირვალე და ზედმიწევნით იყოს გაწერილი ყველა შემოსავალი და ხარჯი.

**5.1**

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული კონცენტრაციების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, ცალკე შეფასდეს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა, მათი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ფუნქციების გათვალისწინებით, ხოლო ცალკე - აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობა როგორც მეტი ობიექტურობის, ისე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის.

**5.3** რეკომენდებულია, მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება როგორც სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლების, ურთიერთგადაფარვების აღმოფხვრის, სხვა სასწავლო კომპონენტების შეფასების, ისე ანალოგი პროგრამების დადარებისას შინაარსობრივი მხარის გათვალისწინების მიმართულებით.

**რჩევები:**

**1.1** ვინაიდან მიზანი წინასწარი განსაზღვრული „ნიშნულია“, რომელიც შინაარსობრივად დროით განზომილებაში ჯერ განუხორციელებელ, პერსპექტიულ ხედვას მოიაზრებს, სასურველია, პროგრამის მიზნებში სიტყვები „აქვთ“, „შეუძლიათ“, „შეეძლებათ“ შეიცვალოს მოქმედების, საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული შედეგის გამომხატველი სიტყვებით, რომელსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტს „შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა“, „გამოუმუშავოს სამართლებრივი პრობლემების ანალიზის უნარი“ და ა.შ.

**2.1** სასურველია, ცოდნა და გაცნობიერებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ხუთი
სწავლის შედეგი იგივე ლოგიკით გაერთიანდეს ერთ სწავლის შედეგში, როგორც ეს სამართლის დარგობრივ
მახასიათებელშია წარმოდგენილი.

**2.3**

- სასურველია, სასწავლო კურსების „სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი)“,„სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“,„სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(დანაშაულის სხვა სახეები)“, „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“,„ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“,„საგადასახადო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები;

- სასურველია, ავტორთა სახელმძღვანელოების ძველი გამოცემები სავალდებულო სასწავლო რესურსებიდან გადატანილი იქნეს დამატებით ლიტერატურაში ან საერთოდ ამოღებული იქნეს სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, ვინაიდან ახალი გამოცემებით სრულად არის დაფარული ძველ გამოცემებში განხილული საკითხები;

- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსს „სამოქალაქო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ მისი შინაარსის გათვალისწინებით ეწოდოს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში“

- სასურველია, განხორციელდეს სასწავლო კურსის „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში “მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯაროსამართალში“და შინაარსობრივად მოიცვას არა მხოლოდ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სახელმწიფო მოწყობის სამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით, არამედ ადმინისტრაციული სამართალის მიმართულებითაც, მითუმეტეს, რომ 2020 წელს გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოც პ.ტურავას, მ.კოპალეიშვილის, კ.ყალიჩავას, ი.ხარშილაძის თანაავტორობით - „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით“, თბ., 2020

**2.4** სასურველია, განხორციელდეს „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“-ს მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და შინაარსობრივად მოიცვას პრაქტიკული უნარების განვითარება არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართულებით, არამედ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულებითაც.

ვინაიდან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა ზოგადად შეფასების მეთოდია, სასურველია სასწავლო კურსს „კლინიკა (იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში)“ ეწოდოს „საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული კურსი“

**2.5** სასურველია, უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

**4.1**

- სასურველია, იმაკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ქუთაისი, უსდ-მ, სხვა უსდ-ებში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა გარანტირებული იყოს პროგრამის მდგრადობა;

- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ზედმიწევნით გაიწეროს თვითშეფასების ანგარიშით აღებული ვალდებულებები.

**5.2** სასურველია, პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით, გამოყენებულ იქნეს გარე შეფასების ისეთი საშუალებები, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტებისგან გამოხმაურებები, უცხოელი პროფესორების შეფასებები, რეკომენდაციები და სხვა.

**5.3** სასურველია, ერთი დოკუმენტით დარეგულირდეს სასწავლო პროცესის სრული ციკლი, ამ აქტმა გააერთიანოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ელექტრონული სწავლების პერიოდში საგამოცდო ადმინისტრირების წესი.

**3.მესამე საკითხი :** შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გრაფიკული დიზაინი<br>**Graphic Design** |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში<br>**Bachelor of Fine Arts in Graphic Design** |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0211 **აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება** |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი | **თბილისი, პაატა საკაძის ქ. №1** |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილება განაცხადეს - გურანდა ჭელიძემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა და ლევან მოსახლიშვილმა**
**საფუძველი-შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 მარტის ბრძანების თანახმად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც პირველ აპრილს განახორციელა საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის, ასევე საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერება, დაზუსტდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუები შედგა 2 აპრილს დისტანციურად (zoom-ის ელექტრონულ პლატფორმაზე) საგანმანათლებლო პროგრამის

განმახორციელებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად საჭირო მონაცემების შეგროვების მიზნით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა თვითშეფასების ანგარიში შესაბამისი დანართი დოკუმენტების პორტფოლიოთი, რომლის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა სამუშაო სტრატეგია და დეტალურად დაგეგმა ვიზიტის მიმდინარეობის დღის წესრიგი. ვიზიტის პროცესი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ინტერვიუები შედგა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუების ფარგლებში დაზუსტდა ცალკეული ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, განხორციელების პროცესებისა და კონკრეტული პროცედურების, შესაბამისი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების დაზუსტების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო ცალკეული დოკუმენტები, რომელიც დამატებით იქნა გამოწვეული ინსტიტუციიდან. ინტერვიუები წარიმართა ჯანსაღი, აკადემიური დებატების ფორმატში, რამაც ექსპერტთა კორპუსს მისცა დამატებითი მტკიცებულებები და განმარტებები, რაც შედგომში საფუძვლად დაედო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც წარმოდგენილი იქნება წინამდებარე პროექტის ფარგლებში.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველი სტანდარტი** _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.
2. რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდესდარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი.
5. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების

პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.

6. რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების სწავლება.
7. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის 5 უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. საგანი „კომპოზიცია“ კორექტირდეს კონკრეტულად გრაფიკული დიზაინისთვის.
8. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს და შესწორდეს კურსების პრერეკვიზიტები.
9. რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად.
10. რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
11. რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება.
12. გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე
13. რეკომენდებულია, დარგობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით.
14. მნიშვნელოვანია სტუდენტთა მონაწილეობა თვითშეფასების პროცესში მიუედავად იმისა პროგრამა გადის აკრედიტაციისა თუ რეაკრედიტაციის პროცესს, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა ქმედით მონაწილეობას უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებასა და მაქსიმალურ გაზიარებაში;
15. თვითშეფასების ამგარიშის შემუშავების პროცესში პრიორიტეტის მიენიჭოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობას;
16. შემუშავებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გარე შეფასების მეთოდოლოგია და გარე ექაპერტთათვის მიწოდებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის სრული პორტფოლიო (პროგრამა, სასწავლო გეგმა, სილაბუსები), რათა ექსპერტმა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იყო 8 დადებითი მხარე და მხოლოდ ორი გასაუმჯობესებელი მხარე. ვიზიტის ფარგლებში კარდინალურად განსხვავებული სურათი იყო წარმოდგენილი. პირველ დადებით მხარეს ის წარმოადგენდა, რომ პროგრამას ახორციელებს საერთაშორისო გამოცდილების მქონე ახალგაზრდა როგორც მოწვეული, ასევე აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე, წარმოდგენილია კარგი ინფრასტრუქტურითა და პირობებით. ასევე ჩანს სტუდენტების კმაყოფილება და მხარდაჭერა, თუმცა აღნიშნული წარმოდგენილ დასკვნაში განსხვავებულია. ამასთან მნიშვნელოვანია შიდა გრანტების და დაფინანსების საკითხი, დადებითად შეფასდა, ასევე, პროგრამის მიზნებისათვის არსებული პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა. ამასთან ექსპერტების მიერ აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებამ საკმაოდ სრულყოფილად და კარგად წარმოადგინა სააკრედიტაციო დოკუმენტაცია. აქვე იყო აღნიშნული მხოლოდ ორი გასაუმჯობესებელი, პირველი პროგრამა გაღრმავდეს შემოქმედებითი კუთხით და მეორე დარგობრივი აკადემიური

პერსონალის მოძიება და გაფართოება. ამასთან პროგრამა არის სიახლე საქართველოს ბაზრისთვის, მსგავსი პრაქტიკა საქართველოს ბაზარზე არ არის.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციები თავისი შინაარსიდან გამომდინარე გულისხმობს რიგი საკითხების უფრო მეტად გამოკვეთასა და დახვეწას, რაც რეალურად სულ რამდენიმე შეხვედრის საკითხი შეიძლება იყოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ 1.1. კომპონენტთან მიმართებით განმარტა, რომ პროგრამის მიზნები ეფუძნება ანალოგიური/მსგავსი პროგრამების მიზნებს, რომლებიც რეალიზებულია ჩვენს მიერ მითითებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია IED Barcelona). მეორეს მხრივ, კავკასიის უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს ქართული სარეკლამო ინდუსტრიის წამყვან სააგენტოებსა და დიზაინ სტუდიებთან, ვებ-დეველოპერულ კომპანიებთან, სადაც დასაქმებულია ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ნაწილი და მათი კომპეტენტურობა დამსაქმებლის მხრიდან მაღალ დონეზეა შეფასებული, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ ორგანიზაციებთან სარეკომენდაციო ხასიათის კონსულტაციების შედეგად, აკადემიური მაღალი სტანდარტების დაცვით, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესურასთან შეთანხმების შედეგადაა მიღებული. შესაბამისად, მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების პირდაპირი გადატანა პროგრამის მიზნებში სრულად ვერ უზრუნველყოფს აკადემიური სივრცისთვის დამახასიათებელ სტანდარტებსა და პროცედურებთან თანხვედრას.
1.2 კომპონენტთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიური ჩართულობით. ისინი სრულად იყვნენ ჩართულნი თავიანთი საგნის სილაბუსის შედგენის პროცესში. გათვალისწინებულ იქნა მთლიანი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის კურიკულიუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის არსებობს ლოგიკური კავშირი, რომელიც შეესაბამება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შესასწავლი საგნების მოცულობასა და თანამიმდევრობას, რომელიც ნათლად არის განსაზღვრული დაწესებულების მიერ შედგენილი პროგრამის შინაარსში. საგნების და შედეგების რუკაში X მონიშვნა შეცდომითაა აცდენილი, რაც ტექნიკურ ხარვეზად გვევლინება. კურიკულუმი შინაარსობრივად ლოგიკურ ჩარჩოებშია და შეესაბამება შესაბამის შედეგებს.
რაც შეეხება 2.1 კომპონენტნა არსებულს რეკომენდაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და საჯაროდ განთავსდება პროგრამის აკრედიტაციის მიღებისთანავე. ამასთან, გამოყოფილია საკონტაქტო პირები აბიტურიენტების მიერ დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევისთვის. რაც შეეხება „შემოქმდებითი ტურის ჩატარების პროცედურას, კომისიის წევრების შერჩევას და შეფასების კრიტერიუმებს, რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, წარედგინებოდა ექსპერტთა ჯგუფს.
მნიშვნელოვანია სევე 2.2 კომპონენტი, კერძოდ, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების სწავლება, შინაარსობრივი თვალსაზრისით რეალიზებულია საგნებში: გრაფიკული დიზაინის საფუძვლები, ხელოვნება მეცნიერება და საზოგადოება, რასტორული გრაფიკა. დამატებითი თემების არსებულ საგნებში დამატების საჭიროების საკითხის განხილვა მოხდება პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ. აღნიშნული თემატიკა რეალიზებულია სასწავლო პროგრამის შემადგენელი საგნების შინაარსში. შესაბამისად, ცალკე სასწავლო საგნად მათი გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობს. კერძოდ, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი და ტიპოგრაფია თავისი შინაარსით რეალიზებულია საგნებში: გრაფიკული დიზაინი, ვექტორული გრაფიკა I -ში, ვექტორული

გრაფიკა II - ში, რასტორული გრაფიკა I - ში და რასტორული გრაფიკა II-ში. პროგრამის სასწავლო გეგმაში საგნები განსაზღვრული თანამიმდევრობით შეისწავლება, სადაც, თავის მხრივ, ერთი საგანი მეორესთან დაკავშირებული ლოგიკური პრერეკვიზიტია.
მნიშვნელოვანია, ასევე, რუბრიკის საკითხი, კერძოდ, სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესურის და მოწვეული პერსონალის მიერ შეირჩა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ყველა კომპონენტის თანხვედრას სასწავლო პროცესის მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში, ინდივიდუალურად კონკრეტული საგნის შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიური პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დარგობრივი აკადემიური პერსონალი შერჩეულ იქნა მათი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს როგორც პროფესიულ, ასევე პედაგოგიურ გამოცდილებას. ისინი მუდმივ განვითარებასა და სრულყოფის პროცესში იმყოფებიან, რადგან არიან დარგის მოქმედი სპეციალისტები და ყოველდღე უწევთ გრაფიკული დიზაინის თუ მომიჯნავე სფეროების ამოცანების გადაჭრა მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით.
რაც 5.1 კომპონენტს, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები მუდმივ კომუნიკაციაში არიან უნივერსიტეტის სკოლის ადმინისტრაციასთან და მათი უკუკავშირი მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან მიმართებაში პრიორიტეტულია. აღნიშნული საკითხი საავტორიზაციო თუ სააკრედიტაციო პროცესებში ხშირად იკვეთება საუკეთესო პრაქტიკად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პროგრამას სტუდენტები არ ჰყავს, ხოლო სკოლის სხვა პროგრამების სტუდენტების ჩართულობა პროცესში შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი საკითხების განხილვით და არა დარგობრივ ჭრილში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მუდმივ კომუნიკაციაშია პროგრამის ხელმძღვანელთან და სკოლის ადმინისტრაციასთან, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მათი მოსაზრებების გათვალისწინებას ყველა სტრატეგიული მიმართულებით. აკადემიური პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების, ასევე თვითშეფასების პროცესში, ხოლო თვითშეფასების ანგარიშის გაფორმება-შევსების საკითხით, როგორც წესი, დაკავებულია პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
მნიშვნელოვანია, ასევე 5.2 კომპონენტი, კერძოდ, უნივერსიტეტში უკვე წლებია დამკვიდრებული გარე ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პრაქტიკა, რომლის საფუძველზე ხორციელდება პროგრამის შემდგომი განვითარება. გარე ექსპერტს გადაეცემა შესაფასებლად პროგრამის სრული პაკეტი, რომლის საფუძველზე ხდება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციებისა და რჩევების განსაზღვრა. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელდა აღნიშნული პროგრამის მიმართაც. რაც შეეხება ფორმატს, ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში, შესაძლებელია თავისი ფორმატი აირჩიონ და აქცენტები გაკეთდეს სწორედ იმ საკითხებზე, რაც იმ კონკრეტული შეფასების ფარგლებში აქტუალურია პროგრამაზე მომუშავე ჯგუფისთვის. აღნიშნული მიდგომა არ არღვევს არც ერთ ნორმას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ცხრილებთან დაკავშრებით იყო გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. შესაბამისად, ამ ხარვეზებზე დაყრდნობით შედეგებზე გასვლის საკითხის წამოწევა არ არის რელევანტური, ვინაიდან ექსპერტებს არა ხარვეზებზე, არამედ კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე უნდა ემსჯელათ პროგრამაზე.
რაც შეეხება 2.3 კომპონენტს, პროგრამის სილაბუსები შინაარსობრივად სრულად შეესაბამება გრაფიკული დიზაინის პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსების შედგენისას შესაბამისი საგნის პროფესურასთან და მოწვეულ ლექტორებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების

განვითარებისთვის აუცილებელი შინაარსის მქონე სილაბუსი. საგნების ძირითადი ნაწილი დამხმარე ლიტერატურის სახით იყენებს თანამედროვე ონლაინ რესურსებს. რაც შეეხება ძირითად ლიტერატურას, ის შერჩეულია გრაფიკული დიზაინის მიმდინარე ტენდეციების ამსახველი ყველაზე თანამედროვე ლიტერატურით. აქვე აღსანიშნავია, რომ გრაფიკული დიზაინის საფუძვლების სახელმძღვანელო Dabner D. - Graphic Design School – 2013 — განიხილავს სფეროსათვის საბაზისო და აქტუალურ საკითხებს, რომლებიც თავისი შინაარსით, მოცულობით და სირთულით სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე გრაფიკული დიზაინის პრინციპებთან და საფუძვლებთან. ამავდროულად, 24 საკონტაქტო საათი სრულად საკმარისია შესაბამისი საკითხების ახსნისათვის. საგანის „კრეატიული აზროვნების ტექნიკა“ სილაბუსში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი — „სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს პროგრამული უზრუნველყოფა C4D-ს გარემოში მარტივი სამგანზომილებიანი ობიექტების მოდელირება და მარტივი ანიმაციების დამზადება. ვიზუალური გამოსახულებების რენდერინგი“. აღნიშნულ გრაფაში უნდა ეწეროს: „სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს კრეატივისა და იდეების გენერირების სხვადასხვა მეთოდი და ტექნიკა, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების პროცესის ეტაპები, იდეების დამუშავების ფორმები, კრეატიული კონცეფციების მიზნები, სტრატეგიები, შექმნის გზები და შედეგები.“ სილაბუსის შემდგომი გრაფები: სასწავლო კურსის მიზანი და სასწავლო კურსის შედეგი სწორადაა შევსებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო საგნების ნაწილში არ გვხვდება გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ლოგოს დიზაინს ეთმობა თითო შეხვედრა სამ სხვადასხვა საგანში, ჯამში 6 საათი, ვებ და აპლიკაციის დიზაინს 2 საათი და „სამომხმარებლო ინტერფეისი“ არჩევითი საგნების ჩამონათვალშია, შესაბამისად, ის არ არის სავალდებულო. ასევე, არჩევით საგნებშია ფოტოგრაფია, რაც ვიზუალური აზროვნებისათვის უმნიშვნელოვანესი საგანია. უმჯობესია, შეეცვალოს სტატუსი ბოლო ორ სასწავლო კურსს არჩევითიდან ძირითადზე. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით დარგობრივი სავალდებულო საგნების დიდი ნაწილი, 19 საგნიდან 11 ეთმობა კომპიუტერული პროგრამების სწავლებას. ასევე, საგნები არქიტექტურის პროგრამიდან „ხაზვა“, „ინტერიერის დიზაინი“ არ არის ადაპტირებული და მორგებული გრაფიკული დიზაინის პროგრამაზე, რაც მთავარია, ისინი არ წარმოადგენს რაიმე სხვა საგნის წინაპირობას. შესაბამისად, მათი საჭიროება ვერ დასტურდება. კურსების თანმიმდევრობა გაუგებარია, თუ კურიკულუმში ნათლად არ იქნება ჩამოყალიბებული პრერეკვიზიტების სისტემა. კურსი „კომპოზიცია“ არის წინაპირობის გარეშე. უმჯობესია, კურსის წინაპირობებად ჩაითვალოს „ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება“, „ხატვა“ და „კრეატიული აზროვნების ტექნიკა“. მნიშვნელოვანია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში, შემოქმედებითი დარგობრივი საგნების მოცულობის და დარგობრივი არჩევითი კურსების კრედიტების ან რაოდენობის გასაზრდელად.
რაც შეეხება სწავლის შედეგებს, კურიკულუმში ვხვდებით გარკვეულ გაუმართაობებს. სილაბუსებში ჩარჩენილია სხვა საგნების ჩანაწერები. ასევე საკმაოდ სერიოზული ლაფსუსებია პრერეკვიზიტების სისტემაში, რაც აუცილებლად საჭიროებს გამოსწორებასა და დახვეწას. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ საკმაოდ სუსტია ის სილაბუსები, რომლებიც შემოქმედებითობას უნდა ავითარებდნენ.
მნიშვნელოვანია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში, შემოქმედებითი დარგობრივი საგნების მოცულობის და დარგობრივი არჩევითი კურსების კრედიტების ან რაოდენობის

გასაზრდელად. ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა გრაფიკულ დიზაინში ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში, ყურადღება გასამახვილებელია ფართო განათლებაზე ხელოვნებაში მსოფლიო ხელოვნებისა და თანამედროვე ხელოვნების საგნების მოდიფიკაციით, დარგობრივი საგნების გაძლიერებით და გამდიდრებით. დარგობრივ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ გრაფიკული დიზაინის მიმართულებით სასურველია შესაბამისი კვალიფიკაციის ლექტორების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში, რათა სტუდენტებმა სრულყოფილად მიიღონ დარგობრივი კომპეტენციები, შემოქმედებითი და ტექნიკური. პროგრამაში დასაბალანსებელია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემმუშავებელი კურსების რაოდენობა, საჭიროა შემოქმედებითი კურსების დამატება და არსებულის გადახედვა. პროგრამა საჭიროებს შემოქმედებითობას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა დაწესებულების მიდგომა პერსონალთან დაკავშირებით, კერძოდ, დასაშვებია თუ არა ბაკალავრის ხარისხის მქონე პერსონალი იყოს თუ არა ჩართული სწავლების პროცესში და არსებობს თუ არა საკითხთან დაკავშირებით გარკვეული შიდა რეგულაციები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ დოკუმენტების შესაბამისად, პროგრამა შეიქმნა უნივერსიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიერ, სადაც ჩართულნი იყვნენ ასევე სტუდენტები. ამის მიუხედავად ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია რომ მნიშვნელოვანია სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის განვითარებაში. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამ განაპირობა ის, რომ პროგრამა არის სამწლიანი. ამასთან 5.2 კომპონენტში განმარტებულია, რომ მნიშვნელოვანია გარე შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება დამოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რიპოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ორიენტირებულია მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებაზე. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გამოირჩევა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილებით. შესაბამისად, თუ პირს აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება, უნივერსიტეტის უარს არ იტყვის მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს ბაკალავრის ხარისხი. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის შემუშავების მთავარი მოტივაცია იყო პირველ რიგში შრომის ბაზრის მოთხოვნა, შემდგომ ევროპული პრაქტიკა და რეგულაცია იმ თვალსაზრისით რომ შესაძლებელი გახდა სახელოვნებო შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება 180 კრედიტის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში მოხდა პრაქტიკისა და თეორიის ინტეგრირება . საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები კავშირშია პროგრამების სწავლის შედეგებთან. პროგრამის კურსდამთავრებული აღიჭურვება დარგის ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს დასაქმების ბაზარზე მის დამკვიდრებას. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს გრაფიკული დიზაინის ან მომიჯნავე სპეციალობის სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს გრაფიკული დიზაინის სპეციალისტის მიმართ.

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად. არჩეული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, რომლებსაც უდასტურდებათ შესაბამის სფეროში საქმიანობის მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. მოცემულ აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამის სფეროში კვალიფიკაცია და მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება, პუბლიკაციები, მიმდინარე კვლევითი ინტერესები, რაც განაპირობებს მათი აქტიურ ჩართულობის საგანმანათლებლო პროცესში - ლექციების ჩატარება იქნება ეს თუ სტუდენტის ხელმძღვანელობა - აქტუალობას, რელევანტობას და მტკიცე სამეცნიერო და საგანმანათლებლო საფუძველს. ექსპერტმა ისაუბრა გარე შეფასებასთან და აღნიშნა, რომ შპს-კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი სკურპულოზურად უდგება ხარისხის მექანიზმების ქმედითობას უნივერსიტეტის ფარგლებში. გარდა ხარისხის შიდა შეფასებისა, ის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარე შეფასების საკითხს საუნივერსიტეტო სივრცეში. მოცემული პროგრამა ახალი და მისი გარე შეფასება პირველად მიმდინარეობს ექსპერტული დაკვირვების ფარგლებში. თუმცა გარკვეულწილად საკუთრივ უნივერსიტეტს მისი გარე შეფასების მიზნით გარკვეული მექანიზმები აქვს ასამუშავებელი. პირველ რიგში უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა ფართო სპექტრის გამოკითხვები. მოცემული პროგრამის მიმართ მსგავსი მცდელობა ვერ დაფიქსირდა, სანაცვლოდ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა სანიმუშო ეგზემპლარები, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ანალიზის შედეგები უკვე მოქმედ პროგრამებზე. დაფიქსირდა ასევე ის ფაქტიც, რომ გამოკითხვებს რეალურად რეგულარული ხასიათი აქვს. დაწესებულებაში ასევე ფიქსირდება პრობლემური საკითხის გადაჭრის ცალკეული აქტივობები, კერძოდ, წარმოდგენილი იყო, ასევე, იმ ღონისძიებათა მატრიცა, რაც დაიგეგმა გამოკითხვების შედეგად მიღებული კომენტარების ანალიზის საფუძველზე. ამასთან, გარე ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ორი დოკუმენტი თითქმის იდენტურია და ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:15**
**დასრულების დრო: 18:40**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და 2 წლის თავზე მონიტორინგის პირობით.

**საბოლოოდ რეკომენდაციები და რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგ სახით:**
**რეკომენდაციები:**

**1.1**

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.

**1.2**

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი.

**2.2** რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსები.

**2.3**

- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
- რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება.

**2.5** გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების" მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

**4.1** რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა დარგის (გრაფიკული დიზაინის) მიმართულებით უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრადობასა და სრულყოფილად განხორციელებას, ასევე მათი აკადემიური ხარისხი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს და კვალიფიკაციათა ჩარჩოს რელევანტურ დონეს.

**რჩევები:**

**1.1**

- სასურველია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზნების ნაწილში აისახოს შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა აქტივობების ფარგლებში ცოდნის, უნარების და კომპეტენციების წარმოჩენა და განმტკიცება.

- სასურველია, პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინსტუდიების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ არამხოლოდ პროგრამის შემუშავებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებაში

**1.2**

- სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის არსებობა, რითიც ხდება მიღებული ცოდნის განმტკიცება, განვითარება და სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტაცია, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება. ამისათვის მნიშვნელოვანია პროგრამას ჰქონდეს პროფილური მემორანდუმები, აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად;

- დასკვნით სადიპლო მოპროექტის სილაბუსში ჩამოყალიბდეს პროექტის აღწერა, ან შეიქმნას თანდართული დოკუმენტი/გაიდლაინი, გამოყენებული იყოს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგია.

**2.1** სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.

**2.2**

- სასურველია, „ფოტოგრაფიას“, როგორც ვიზუალური აზროვნებისთვის უმნიშვნელოვანეს კურსს და „სამომხმარებლო ინტერფეისს“, როგორც ვებ და აპლიკაციის დიზაინისთვის მნიშვნელოვან მხარდაჭრას, შეეცვალოს სტატუსი არჩევითიდან ძირითადზე;

- სასურველია, მოხდეს რიგი სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება სავალდებულოდან არჩევითზე. უმჯობესია, ხაზვა, ინტერიერის დიზაინი, CAD პროგრამებთან ერთად ქმნიდეს არჩევით მოდულს გრაფიკული დიზაინერისთვის დამატებითი ცოდნისა და უნარების შესაძენად. ასევე, cinema 4D III და IV, პერსონაჟის ანიმირებას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევითი საგნების სტატუსი და სტუდენტს, ინტერესის შემთხვევაში, საშუალება ექნება, გაიღრმავოს ცოდნა ანიმაციის მიმართულებით.
- სასურველია პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. საგანი „კომპოზიცია“ კორექტირდეს კონკრეტულად გრაფიკული დიზაინისთვის.

- სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს და შესწორდეს კურსების პრერეკვიზიტები

2.3 სასურველია, სილაბუსებში ყურადღება ექცეოდეს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებას;

სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში ცალკეული სასწავლო კურსების შესაბამისობის საკითხი საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში (მაგალითად „ხაზვა“, „ინტერიერის დიზაინი“).

2.4 სასურველია, დაბალანსდეს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემმუშავებელი სასწავლო კურსების თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამაში;
სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდეს სტაჟირების განხორცილების ობიექტების მიზანმიმართული შერჩევა;
სასურველია, დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის მიზნით გაძლიერდეს კურიკულუმი შესაბამისი სასწავლო კურსებით (მსოფლიო და თანამედროვე ხელოვნება, დარგობრივი საგნები).

2.6
● სასურველია, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვროს დავალების ფორმატი (ტექნიკური ან შემოქმედებითი) და ასევე გონივრული დრო დავალების შესრულებისთვის;
● სასურველია, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი უკეთ იყოს გაცნობიერებული საკუთარი სასწავლო კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასა და სპეციფიკაში.

3.1
● სასურველია სტუდენტური პროექტების ხელშეწყობისა და დაფინანსების პროგრამების გაძლიერება; ● სასურველია სტუდენტებისა და ხარისხის განვითარების სამსახურის კოორდინირებული მუშაობა; ● სასურველია დარგზე ორიენტირებული პრაქტიკის ობიექტების მოძიება.

4.1

- სასურველია, პროგრამამ შემდგომ ეტაპზე, განვითარების პროცესში შეაფასოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი პროექტები;
- სასურველია, პროგრამის პორტფოლიოს დანართები შესაბამისობაში იყოს თვითშეფასების ანგარიშთან და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან.

4.3

- სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გრაფიკული დიზაინის პროფესიული ლიტერატურით გამდიდრება

4.4

- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა შემოქმედებითი აქტივობების ხარჯი;
- სასურველია, მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად.

5.1

- სასურველია ხარისხის მარეგულირებელ დოკუმენტში წინ წამოიწიოს პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პროცესში აკადემიური პერსონალის მნიშვნელობამ;

- სასურველია დაწესებულებამ შეფასების პროცესების ამსახველ დოკუმენტებში წარმოადგინოს ანალიზური  და სარეკომენდაციო ნაწილიც, რომლის საფუძველზე იგეგმება პროცესების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რათა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა კვლევების ეფექტურობაზე;
- სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ შრომის ბაზრის გაღრმავებული კვლევა კონკრეტული წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

5.2

- სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისთვის და ქაართულ შრომით ბაზარზე დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების კურსდამთავრებულთა გუნდის შესაქმნელად.
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გარე შეფასების მეთოდოლოგიის მეტად გამოყენება

5.3 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის მიზნით, ინსტიტუციის ფარგლებში შემუშავდეს მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელსაც პერიოდულად დაექვემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.

**4.მეოთხე საკითხი : შ**პს - ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | განათლების ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | No1175215, 02.11.2021 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების ადმინისტრირების მაგისტრი<br>Master of Education Administration |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | გურამიშვილის გამზ. No76, თბილისი, 0141, საქართველო სარაჯიშვილის ქ. No17, თბილისი, 0189, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა, მაკა კაჭარავამ**
**საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის (გადაწყვეტილებით შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლით, 6 თვეში ანგარიშის წარმაოდგენის ვალდებულებით. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტმა განათლების ადმინსიტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზვრული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოადგინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადების დაცვით, კერძოდ, 2022

წლის 2 მაისს. როგორც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშშია აღწერილი, რეკომენდაციების განხილვისა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მიზნით შეიკრიბა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების პროგრამის კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო სამუშაოები და მოამზადა შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში დეტალურად აღწერს თითოეული რეკომენდაციის აღწერასა და რეკომენდაციის შესრულებისათვის განხორციელებულ ცვლილებებს. ანგარიშს თან ახლავს მტკიცებულებები, რომელიც განხორციელებული ცვლილებების ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

**ექსპერტმა საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები.
3. რეკომენდებულია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის მაპროფირებელი არჩევითი კურსებიდან ერთერთის ძირითად სავალდებულო ბლოკში გათვალისწინება.

ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით განმარტა, რომშპს ევროპის უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების პროგრამის კომიტეტმა შეიმუშავა პროგრამაზე ჩარიცხვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წესი, რომლითაც განსაზღვრა გამოცდის ფორმატი, შეფასების წესი და იმ საკითხებისა და სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათალი, რომელსაც აპლიკანტი უნდა გაეცნოს გამოცდამდე. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი. დოკუმენტის შესწავლის შედეგად მკაფიო ხდება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში აპლიკანტთა დეტალური ინფორმირება, შეფასების გამჭვირვალობა და სანდოობა. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. დასკვნის აღწერით ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებული იყო კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი იყო შესაბამისი სასწავლო კურსების გავლა. სასწავლო კურსს ,,პრაქტიკის კვლევა და დაკვირვება'' რეკომენდაციის თანახმად წინაპირობად განესაზღვრა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები განათლებაში''.
მნიშვნელოვანია ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები. შესაბამისად, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სფეროს სასწავლო კურსი „განათლების ეკონომიკა, მარკეტიზაცია და სტრატეგიული მართვა“ არჩევითი ბლოკიდან გადატანილია სავალდებულო კურსების ბლოკში. ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, პროგრამის კომიტეტმა გადახედა პროგრამის სასწავლო გეგმას, კომპეტენციათა რუკებს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესს, პროგრამის სტრუქტურას და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:50**
**დასრულების დრო: 18:54**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს - ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის შესაბამისად, შპს - ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**5.მეხუთე საკითხი :** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 13.04.2021, N352763 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიოლოგიის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0511 ბიოლოგია |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თელავი, 2200, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1, სასწავლო კორპუსი N1 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა - თეა მჭედლურმა**
**საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამას „ბიოლოგია“ მიანიჭა 7 წლით აკრედიტაცია და განუსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 1 წელი. აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისას ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც - „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ასევე მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც -„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში განხილული იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და დაიგეგმა ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გადამუშავება გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციები.
სამუშაო ჯგუფს დაევალა რეკომენდაციების და რჩევების დეტალური შესწავლა და შესაბამისი ქმედების განხორციელება. ჯგუფმა გამართა სამუშაო შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და დეპარტამენტთან და უზრუნველყო რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით პროგრამის შემადგენელ კომპონენტებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. მომზადდა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების/რჩევების შესრულების შესახებ ანგარიში და გადამუშავებულ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად განხილულ იქნა ჯერ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, შემდეგ კი თესაუ-ს

აკადემიურ საბჭოზე. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარადგინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის დაცვით. დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია სრულად იქნა შესრულებული და შესაბამისად ინსტიტუცია მზად არის შემდეგი განვითარებისთვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშNა, რომ დაწესებულება მზად არის განვითარებისთვის და შესაბამისად, მოხდა ყველა რეკომენდაციის განხორციელება.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:00**
**დასრულების დრო: 19:02**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6..**მეექვსე საკითხი :** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფარმაცია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 18.09.2020, N862040 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ფარმაციის ბაკალავრი |
| 10 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0916 ფარმაცია |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თამარ მეფის ქ. No59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი No11, ახალგაზრდობის პროსპექტი N 98, 4600, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის სექტემბერში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №862040 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და ვალდებულებად განესაზღვრა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩანს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პროგრამის ხელმძღვანიელის მიერ გაზიარებული იქნა მიღებული რეკომენდაციები, რის საფუძველზეც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები: 1. დაინერგა მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა და გაიზარდა შეფასებისას გამოყენებულ ქულათა ზღვარი 2. განახლდა სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიები და შეივსო უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი 3. გაიზარდა სტუდენტების ჩართულობა კონფერენციებში და პრაქტიკულ სამუშაოებში 4. წარმოდგენი იქნა პროგრამის ბიუჯეტი, შემოსავლითი ნაწილის გათვალისწინებით 5. საბაკალავრო პროგრამა

თავისი კომპონენტებით და სწავლის შედეგებით შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 20:08**
**დასრულების დრო: 20:30**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის შესაბამისად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, მიღებულ იქნა ცნობად.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 20:30 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით